

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №CNF-11

ქ. თბილისი

1 ნოემბერი, 2016 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო,“ წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ვახტანგ ტუკვაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 204911337, ტელ. 2752352, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, შპს „ვივიდ“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ტარიელი გურგენაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურიდიული მისამართი რუსთავი, XVI მ/რ კორ. 5, ბ. 6; ს/კ: 416289260, ტელ. 555114012; სს "თი ბი სი ბანკი", კოდი# TBCBGE22, ა/ა # GE72TB7750036080100001

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია მზის ფოტოელექტრული სისტემის (თანმდევრი მონტაჟით) (CPV09330000 - მზის ენერჯია) (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება კავკასიის ბუნების ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტის და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საჭიროებისათვის.

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4576,60 (ოთხი ათას ხუთასსამოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევრი ხარჯებისა და გადასახადების ჩათვლით.

2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია მზის ფოტოელექტრო სისტემები (თანმდევრი მონტაჟით). შესყიდვის ობიექტის დასახელება, მზის ფოტოელექტრული სისტემის შემადგენელი კომპონენტები, მზის ფოტოელექტრული სისტემის შემადგენელი კომპონენტების მწარმოებელი ფირმა, მოდელი და წარმოშობის ქვეყანა, რაოდენობა, ერთეულის ფასი, მთლიანი ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში (დანართი 1 ფურცლად).

2.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა მოცემულია ხელშეკრულების დანართი №2-ში (დანართი 2 ფურცლად).

2.3 შესყიდვის ობიექტს გააჩნია გარანტია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 2 (ორი) წელი, გარანტიის მოქმედების ვადაში დაზიანებული საქონლის ახალი ანალოგიური პარამეტრების მქონე საქონლით შეცვლის დრო არ აღემატება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეს.

2.4 გარანტია არ ვრცელდება მხოლოდ განზრახ გარეგანი ზემოქმედებით დაზიანებულ საქონელზე;

3. საქონლის მიწოდება-მონტაჟის პირობები

3.1 საქონლის მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 საქონლის მონტაჟი გულისხმობს მზის ფოტოელექტრული სისტემის მონტაჟს, ასევე მის ტექნიკურად გამართვას და ტესტირებას.

3.3 საქონლის მიწოდება-მონტაჟის ადგილია: სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ტერიტორია. მისამართი: სოფ. კარწახიდან 2 კილომეტრში, ხოზაფინის ტბასთან მდებარე კოტეჯი

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდვი მომსახურებით) შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს მიწოდებულ საქონელს, ხოლო თუ საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და საქონელი შესაბამისად არ იქნა მიღებული, მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზები აღმოფხვრას 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს საქონლის მიწოდების პროცესში რაიმე უზუსტობის აღმოფხვრა 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- 8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი;
- 8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, საქონლის მიწოდების ვადის და საგარანტიო პირობების დარღვევის დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. მიმწოდებლის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 იანვრამდე, (გარდა მე-2 მუხლის 2.3 პუნქტისა) მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

შპს „ვივიდ“

ვახტანგ ტუკვაძე
თავმჯდომარის მოადგილე



ტარიელი გურგენაშვილი
დირექტორი




სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №CNF-11 ხელშეკრულების დანართი #1

№	დასახელება	მზის ფოტოელექტრული სისტემის შემადგენელი კომპონენტები	მზის ფოტოელექტრული სისტემის შემადგენელი კომპონენტების მწარმოებელი ფირმა, მოდელი და წარმოშობის ქვეყანა	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)	480 ვატიანი მზის ფოტოელექტრული სისტემის თანმდევი მონტაჟის მომსახურების ღირებულება (ლარი)
	1	2	3	4	5	6	7	8
1		მზის მოდელი (პანელი)	მწარმოებელი ფირმა: infinium solar. მოდელი: mis-80w-36p; აშშ.	ცალი	6	318,6	1911,6	
2		აკუმულატორი	მწარმოებელი ფირმა: COSLIGHT; მოდელი: 6-GFM-150X; ჩინეთი.	ცალი	2	590	1180	
3		მზის დამუხტვის კონტროლერი	მწარმოებელი ფირმა: SOLAR CHARGER; მოდელი: CMTPO2-30A; ჩინეთი.	ცალი	1	106,2	106,2	
4	480 ვატიანი მზის ფოტოელექტრული სისტემა (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით)	ინვერტორი	მწარმოებელი ფირმა: LONGCHI TECHNOLOGY; მოდელი: 1200W SOLAR POWER INVERTER; ჩინეთი.	ცალი	1	259,6	259,6	295
5		შუქდიოდური ნაოურა	მოდელი: SMD 5630; ჩინეთი.	ცალი	10	14,16	141,6	
6		ელ. კაბელების და სადენების კომპლექტი	მწარმოებელი ფირმა: სუ.კაბელი; მოდელი არ გააჩნია; საქართველო.	ცალი	1	236,8	236,8	
7		პანელების ლითონის სამაგრი კონსტრუქცია	არ გააჩნია	კომპლექტი	1	365,8	365,8	
8		ელექტრო-ტექნიკური აქსესუარების კომპლექტი (ჩამორგელები, ნათურის ბუდეები, და სხვა საჭირო სამონტაჟო მასალები)	არ გააჩნია	ცალი	10	8	80	

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ „დავული ტერიტორიების სააგენტო“



ვახტანგ ტუკვაძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „ვივიდ“



ტარიელი გურგენაშვილი
დირექტორი

480 ვატიანი მზის ფოტოელექტრული სისტემის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მზის ფოტოელექტრული სისტემის თანმდევი მონტაჟი და ენერგოეფექტური 12 ვოლტიანი შუქდიოდური განათების დამოუკიდებელი ქსელის გაყვანა. მზის ფოტოელექტრულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მზის ენერჯის გარდაქმნა და აკუმულაცია ავტომატურ რეჟიმში. დაგროვებული ენერჯია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დღის ნებისმიერ პერიოდში. სისტემამ ასევე უნდა უზრუნველყოს 220 ვოლტის მიწოდება 1 (ერთი) ცალი ტელევიზორის და 1 (ცალი) ცალი მაგიდის კომპიუტერის ჩასართავად.

მზის ფოტოელექტრული სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. მზის მოდული (პანელი) - 1 ცალი აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:
 - მოდული შედგება პოლიკრისტალური სილიციუმის სტანდარტული ელემენტებისგან.
 - სიმძლავრე: 80 ვატი; დაშვებული გადახრა: $\pm 5\%$
 - ღია წრედის ძაბვა: 21.5 ვოლტი
 - მოკლე ჩართვის დენი: 4 ამპერი
 - მაქსიმალური ძაბვა დატვირთვის ქვეშ: 16 ვოლტი
 - მაქსიმალური დენი დატვირთვის ქვეშ: 4 ამპერი
 - მუშა ტემპერატურული დიაპაზონი: $-35^{\circ}\text{C} + 85^{\circ}\text{C}$
 - ქარგამძლეობა: 2400Pa
2. აკუმულატორი დახშული ჟელეანი ელექტროლიტით, VRLA GEL ტიპის, 12 ვოლტი, 150 ამპ*სთ, განკუთვნილი ციკლური მოხმარებისთვის (დაუშვებელია სასტარტერო/სამანქანო ტიპის აკუმულატორების გამოყენება);
3. მზის დამუხტვის კონტროლერი, უნივერსალური 12/24 ვოლტი, 30 ამპერი, აკუმულატორის დამუხტვის და განმუხტვის დამოუკიდებელი წრედით, კონტროლერს გააჩნია შემდეგი მინიმალური ფუნქციები:
 - დამუხტვის მიმდინარეობის ინდიკაცია
 - აკუმულატორის დამუხტვის დონის ინდიკაცია
 - დატვირთვის (მომხმარებლის) ავტომატური გათიშვა: 11 ვოლტი
 - დატვირთვის (მომხმარებლის) ავტომატური ჩართვა: 12.8 ვოლტი
 - მოკლე ჩართვისგან ავტომატური დაცვა და ინდიკაცია
 - ტემპერატურული კომპენსაციაკონტროლერს გააჩნია შემდეგი ტიპის დაცვები:
 - რევერსული (მცდარი) პოლარობა
 - რევერსული დენი
 - მოკლე ჩართვა
 - მაღალი დენი
 - მაღალი ტემპერატურა
 - მაღალი ძაბვა
 - დაბალი ძაბვა
4. ინვერტორი აკმაყოფილებს შემდეგ პარამეტრებს/ფუნქციებს:
 - შემავალი მუდმივი ძაბვა: 11-15 ვოლტი
 - გამომავალი ცვლადი ძაბვა: 220-240 ვოლტი, 50 ჰერცი
 - ნომინალური სიმძლავრე: 1200 ვატი
 - პიკური სიმძლავრე: 2400 ვატი
 - გარდაქმნის მინიმალური ეფექტურობა: 90%
 - შესასვლელის და გამოსასვლელის სრული დაცვა
 - ავტომატური თერმული გათიშვა
 - გადატვირთვისგან დაცვა
 - მაღალი შემავალი ძაბვისგან დაცვა

- მოკლე ჩართვისგან დაცვა (ავტომატური გათიშვა / ჩართვა)

5. 12 ვოლტიანი შუქდიოდური განათების დამოუკიდებელი ქსელისათვის საჭირო შუქდიოდური ნათურების მახასიათებლების განსაზღვრა უნდა უზრუნველყოს მიმოწდებელმა შესყიდველთან შეთანხმებით ობიექტის თავისებურებების გათვალისწინებით.

6. ელ. კაბელების და სადენების კომპლექტი

- კაბელები და სადენები უნდა იყოს მრავალმარღვა, სუფთა სპილენძის.

- კაბელების და სადენების კვეთი უნდა შეირჩეს კონკრეტული ობიექტისთვის მანძილების და დატვირთვის მიხედვით. მუდმივი ძაბვის ვარდნა ქსელის ნებისმიერ წერტილში არ აღემატებოდეს 0.5 ვოლტს

- გარე გამოყენებისას კაბელი უნდა მოთავსდეს დამატებით დამცავ შრეში.

7. პანელების ლითონის სამაგრი კონსტრუქცია 1 კომპლექტი მოთხოვნები:

- პანელები ოპტიმალურად უნდა განლაგდეს ადგილმდებარეობის და ობიექტის სპეციფიკის მიხედვით, რათა არ დაზარალდეს ვიზუალური ხედი და უზრუნველყოფილი იყოს ენერჯის მაქსიმალური წლიური გამომუშავება

- კონსტრუქცია მედეგი უნდა იყოს და უნდა უზრუნველყოს პანელების დაცვა ნებისმიერ შესაძლო ექსტრემალურ გარემო პირობებში (ქარიშხალი, დიდთოვლობა, სეტყვა)

- მასალა: ფოლადი

- გარე დაფარვა: ანტიკოროზიული მდგრადი საღებავის ორი შრე.

8. ელექტრო-ტექნიკური აქსესუარების კომპლექტი (ჩამრთველები, ნათურის ბუდეები, და სხვა საჭირო სამონტაჟო მასალები).

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“



ვახტანგ ტუკვაიძე
თავმჯდომარის მოადგილე



„მიმწოდებელი“

შპს „ვივიდ“



გიორგი გურგენაშვილი
დირექტორი

